ცნობის ფურცელი

№ 2124 ხუთშაბათი, 17 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2124

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-110 №-რი.

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)
კელენის სისტემისა
„იდეალ“
სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯიძის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—18)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. კალლიზენ
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—75)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის
საზოგადო კრება
დანიშნულია ამხანაგობისავე სადგომში
(ბანქის ქუჩა)
კვირას, 20 აპრილს, საღამოს 8 საათზე.
ეს კრება გაგრძელებაა 2 აპრილს შემდგარის საზოგადო კრებისა.
ცალკე მოსაწვევი ბარათები არავის არ გაეგზავნება, რადგან წევრთა უმრავლესობის ადრესები არ არის კანტორაში.
კრებაზე დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ წევრთ. (3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დ ი ლ ი თ:
ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
ნ. ტ. მუღლინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
მ. დ. დავბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.
ა. ა. მაღლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
ლ. ი. ქამოევი.—საშარდე (ქირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.
დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.
ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.
ნრ. მ. ხობოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ა. ა. მაღლაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).
მუდმივი ექიმი ბ. დ. ნახარიძე.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. [illegible]—სამ მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წ.

ე ქ ი მ ი
ც. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

სახალხო წარმოდგენა № 18
ტფილისის სოფხიზლის საზოგად.—ავლაბრის განყოფილება
ნ. ნ. მურაშკოს თეატრი
კვირას, 20 აპრილს, 1903 წელს
◆ სადღესასწაულო წარმოდგენა ◆
ქართული სცენის მოყვარეთაგან
გიგო გელიკურაშვილის ოცის წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად
წარმოდგენილი იქნება
I
ძუნწი
კომედია 2 მოქმედებად გ. ერისთავისა.
II
გაცრუებული იმედი
მეორე მოქმედება აზიანისა.
III
მათიკო
მესამე მოქმედება ა. ცაგარლისა.
IV
აპოთეოზი
მონაწილეობენ: ქ. ქ. აფხაზიშვილი, გორელი, ქართველიშვილი, ქურული; ბ. ბ. ბილაშვილი, გაბოშვილი, გელიკურაშვილი, იმედაშვილი, მეტრეველი, პეპანოვი, რევაზიანი, სალაყაია, ფავლენიშვილი, ყალაბეგაშვილი და სხვ.
ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა, დუდუკი და ქართველ მომღერალთა გუნდი იმღერებს.
თეატრთან არის სასეირნო ბაღი და ბუფეტი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
შემდეგისთვის მზადდება: „დამნაშავეა?“ დრ. ფოსისა
(3—1) რეჟისორი **იოსებ იმედაშვილი**.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ
სახალხო სეირნობა
საქველმოქმედო ბაზრითურთ.
შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძესთან, (ნიკოლოზის ქუჩა, № 21) დ ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლისქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—11)

საშუალო სკოლის რეფორმა

საშუალო სკოლის რეფორმის საქმე კვლავ ახალ ხანაში ჩადგა: საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტი შეუდგა რეფორმის პროექტის შედგენას. როგორც სჩანს, ახლა რეფორმა განხორციელებულ იქმნება და ამიტომ არ იქმნება ურიგო გავიცნოთ, რა ცვლილება მოელის მოკლე ხანში საშუალო სწავლების საქმეს რუსეთში,—იმ საქმეს, რომელიც ასე გამწვავდა და სულს უხუთავს მოსწავლეთ, მასწავლებელთ და მშობელთაც.

ბევრი ფაზისი გამოიარა ამ ძნელმა საკითხმა მარტო უკანასკნელ 10—12 წლის განმავლობაში. მწერლობა, საზოგადოება, საუკეთესო პედაგოგები, ერთის სიტყვით ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია მოზარდ თაობის სვე-ბედი, დაუღალავად და დაჟინებით ლაპარაკობდნენ საშუალო კლასიკურ სკოლის გადაკეთების საჭიროებაზე, რადგან ყველა ჰხედავდა, რომ გადამეტებული კლასიციზმი ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათ, ღალავს და გონებას უჩლუნგებს მოსწავლეთ. მთავრობამაც ყური ათხოვა საერთო ღაღადს და თვით დელიანოვის დროს,—იმ დელიანოვისა, რომელიც ერთგული და ბრმა თაყვანისმცემელი იყო ტოლსტოის და კატკოვის სისტემისა,—განიზრახეს კლასიციზმის შესუსტება. განზრახვა რამდენიმე სულ მცირე და უმნიშვნელო ცვლილებით დასრულდა; მაგალითად, გიმნაზიებს წინადადება მიეცა ძველ ენების სწავლებაში მეტი ყურადღება მიექციათ ავტორების კითხვა-თარგმნისათვის, ვიდრე გრამატიკისათვის, ეგზამენებზე სათარგმნელად მიეცათ ბავშებისათვის ლათინური ან ბერძნული ტექსტი და არა რუსული და სხვა ამგვარი. ცხადია, ასეთი „რეფორმა“ არავის არ დააკმაყოფილებდა და, პირიქით, კლასიციზმის წინააღმდეგ უფრო ხმა მაღლა დაიწყეს ლაპარაკი. ასეთივე უმნიშვნელო იყო ბოგოლეპოვის სამინისტროს მიერ განზრახული ცვლილება და სწორედ ამ დროს გამწვავდა ეს საკითხი. ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ საშუალო სკოლის სისტემა ძირიანად უნდა შეიცვალოს და მხოლოდ მაშინ ჩადგება ეს საქმე ნორმალურ პირობებში.

ამ შეხედულებასა და რწმენას დაადგა ახლი მინისტრი საერო განათლებისა გენ. ვანნოვსკი, რომელიც უმაღლესმა რესკრიპტმა მიიწვია საშუალო სკოლის „ძირეულად გადაკეთებისათვის“. დაიწყეს მუყაითი და თითქმის აღფრთოვანებული მუშაობა; მალე კიდეც გამოირკვა რეფორმის ძირითადი მუხლები. განზრახული იყო, საშუალო სკოლის ერთი ტიპის შემუშავება, სადაც ლათინური ენის სწავლება უნდა დაწყებულიყო უფროს კლასებში, ბერძნული მხოლოდ ზოგიერთს (ხუთსა თუ ექვს) გიმნაზიაში რჩებოდა და სადაც რეალურ განყოფილების კურს დამთავრებულთ უნივერსიტეტში შესვლის ნება ენიჭებოდა. ასეთი ცვლილება მართლა თვალსაჩინო იქმნებოდა და დიდს ნაყოფსაც მოიტანდა; ამიტომ საზოგადოება დიდ იმედს მიეცა.

მაგრამ ამ უბედო საქმეს კვლავ გაუთენდა ცუდი დღე: მალე გენ. ვანნოვსკი და მისი უახლოესი თანაშემწე მეშჩანინოვი სამსახურიდან გამოვიდნენ და საშუალო სკოლის რეფორმის საქმე ახალ მინისტრის, ბ. ზენგერის, ხელში გადავიდა. მართალია, საქმე არ შეუჩერებიათ, მაგრამ იმ ძირითად ცვლილებაზე, რომელიც ვანნოვსკის სამინისტრომ განიზრახა, ხელი-კი აიღეს. ამას გვიმტკიცებს ის ძირითადი მუხლები, რომელთა მიხედვით სამეცნიერო კომიტეტი ადგენს ამ ჟამად რეფორმის პროექტს.

ახალის პროექტით, გიმნაზიაში ისევ რვა კლასი რჩება; ძველ ენების სწავლება ისევ იქნება, მხოლოდ ზოგგან ბერძნული ენა სავალდებულო არ იქნება; თუ კურს დამთავრებულმა, რომელსაც ბერძნული არ უსწავლია, მოისურვა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესვლა, იმ შემთხვევაში დამატებითი ეგზამენი უნდა დაიჭიროს ბერძნულში (მუხლი 1-ლი). რეალურ სასწავლებელში ისევ ექვსი ძირითადი კლასი და ერთი (მეშვიდე) დამატებითი რჩება. რეალისტებს ნება ეძლევათ მხოლოდ უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებელში შესვლისა (მუხლი მე-2). უკვე ეს ორი მუხლი ახასიათებს განზრახულ რეფორმას. იგი არა თუ არ ამართლებს საერთო მოლოდინს საშუალო სკოლის რადიკალურ გადაკეთებაზე, არამედ ვანნოვსკის პროექტსაც ბევრად ჩამორჩება. იმ პროექტით, გიმნაზიაში უნდა ყოფილიყო შვიდი კლასი; დაბალ კლასების (მეხუთემდე) პროგრამა ერთი უნდა ყოფილიყო კლასიკებისა და რეალისტებისათვისაც; ბერძნული ენა სრულიად ისპობოდა გარდა რამდენისამე გიმნაზიისა; რეალურ განყოფილების კურს დამთავრებულსაც შეეძლო უნივერსიტეტში შესვლა, მხოლოდ ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტში შესვლისათვის დამატებითი ეგზამენი უნდა დაეჭირა.

ამ ორ პროექტ შორის, როგორც ჰხედავთ, დიდი განსხვავებაა,—იმდენად დიდი, რომ თითქმის თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლად განზრახული ცვლილება ბევრით ვერაფრით სჯობია დელიანოვ-ბოგოლეპოვის პოლიტიკას. ახალი პროექტით, საშუალო სკოლა ისევ მტკიცე კლასიკური იქნება და თუმცა ზოგგან ბერძნული სავალდებულო არ იქნება, მაგრამ, ამის მაგიერ, იმათი უფლება იზღუდება, ვინც გაჰბედავს და ამ ენას არ ისწავლის. რეალური სკოლა-კი ისევ დაჩაგრული ბუში იქნება, როგორც დღემდე...

ამ თვალსაჩინო ნაკლულევანებათ ვერ გაასწორებს ის ახალი ტიპი საშუალო სკოლისა, რომელიც ამ ჟამად განუზრახავთ; სახელდობრ, „უნდა დაარსდეს, გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებელთა გარდა, ექვს კლასიანი საშუალო სასწავლებელი დამთავრებულის საშუალო სწავლის პროგრამით. ამ სასწავლებლის კურს დამთავრებულს მთავრობის ადგილობრივ დაწესებულებებში სამსახურის ნება მიენიჭება (მუხლი მე-3)“. ამგვარად, ეს ახალი სკოლა მაღალ სასწავლებელში შესვლის ნებასაც იძლევა, ხოლო ადგილობრივ დაწესებულებაში სამსახურის უფლებას ახლანდელი საქალაქო სასწავლებელიც ანიჭებს კურს დამთავრებულთ...

აი, ის უმთავრესი მუხლები, რომელთა მიხედვით სამეცნიერო კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს საშუალო სკოლის რეფორმა. ჯერ-ჯერობით ძნელია გადაჭრით ვთქვათ, რომ მომავალი რეფორმა სრულიად უმნიშვნელო იქნება: შეიძლება კომიტეტმა შესცვალოს ძირითადი მუხლები ან იქნება პროექტის დანარჩენი ნაწილები (პროგრამა, ახალი საგნები, აღზრდის საქმე, ძველ ენების თვით სწავლების მეთოდი და სხვა) იმდენად კარგად შემუშავდეს, რომ ცოტათი მაინც გაუმჯობესდეს საქმე; მაგრამ იმის თქმა ახლაც თამამად შეგვიძლია, რომ საზოგადოებისა და პრესსის საუკეთესო ნაწილის მოლოდინი და იმედი არ გამართლდება და საშუალო სკოლა რუსეთში თითქმის წინანდელ ყოფაში დარჩება.

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. 1867-ში რუსეთის მთავრობა დიდი წინააღმდეგი ყოფილა რეფორმების იმ პროექტისა, რომელიც უნდა განეხორციელებია ბრწყინვალე პორტას. რუსი მწერალი ტეპლოვი ამბობს, რომ მაშინ განზრახული რეფორმები ბევრად უფრო რადიკალური იყო, ვიდრე ეხლანდელი. მიუხე-

დავალ ამისა რუსეთი 1867 წ. ამბობდა, რომ „გამოცდილებამ დაგვანახვა სრული გამოუსადეგრობა განზრახულ რეფორმებისა, მათი პრაქტიკული უვარგისობა და აგრეთვე სამწუხარო შედეგი საზოგადო წვრილმან რეფორმებისა: შეუძლებელია ისეთ ელემენტების ერთმანერთში არევა, რომელნიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან“. განა 1867 წლის შემდეგ გარემოება შეიცვალა, რომ ეხლა უფრო მცირე რეფორმებით სურთ ხალხის დაკმაყოფილებაო, ჰკითხულობს ხსენებული ავტორი. უფრო ლოღიკური არ იქნება ვიფიქროთ, რომ ერთნაირ მიზეზებს ერთნაირივე შედეგი მოჰყვება და რომ ახალ რეფორმებსაც ისეთივე სამწუხარო შედეგი მოჰყვება, როგორც წინანდლებს. ავტორის აზრით, ერთად-ერთი საშუალება ბალკანეთზე მშვიდობიანობის დამყარებისა არის მაკედონიისა და ძველ სერბიისათვის ავტონომიის მიცემა, სანამ იქ არ მოხდა ისეთი ამბები, რომელთა საბედისწერო ნიშნები საკმაოდ სჩანან ეხლაც. „თუ დრო გავუშვით და ბალკანეთზე ცეცხლი გაჩაღდა, ეხლავე შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ისარგებლებს მარტო ავსტრია—დაიკავებს ალბანიას და მაკედონიას... რაც უფრო მეტი უწესოება უკმაყოფილება იქნება ძველ სერბიასა და მაკედონიაში, მით უფრო ბუნებრივი იქნება ავსტრიელ ჯარების იქ გადაყვანა: ბოსნიაში ჯარი თავმოყრილი და დამარაგებულია, რომ შეასრულოს დიდის ხნით განზრახული გასეირნება მიტროვიცას იქით“.

◆ კონსტანტინეპოლში მეტად ცუდი ამბები მოდის მაკედონიიდან და ალბანიიდან. ალბანელები მზად არიან მტკიცე მოქმედებისათვის რეფორმების შემოღების წინააღმდეგ; იარაღსა და სურსათს ავსტრიელები უზიდავენო, სწერენ ზოგიერთი გაზეთები; საზოგადოთ ალბანელების ასეთ აღელვებას ავსტრიის ინტრიგებს აბრალებენ.

◆ გაზეთებში დაბეჭდილია წერილი ერთ ინტელიგენტ მაკედონელისა, რომელიც რევოლიუციონერებთან ერთად იბრძვის თავის ქვეყნის განსათავისუფლებლად. „ეხლა პირინის დიდებულ მაღლობებზე ვიმყოფები... ამას წინად ოსმალოს ტყვიამ ცოტა გამკაწრა, მაგრამ ეხლა ისე კარგად ვარ, რომ არას მიშლის მაკედონიის მთებში ვიხეტიალო... [illegible] ჩემი ცოლი ერთობ შეწუხებულია, რადგან არ იცის, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი; ურჩიე გულს მოერიოს და მთელი ყურადღება პატარას აღზრდას მიაქციოს. მამულის ვალი მაიძულებს ვებრძოლო 500 წლის მტარვალს და მზად ვარ სიცოცხლე გავსწირო მაკედონიის ველზე. თუ ცოცხალი დავრჩი, იარაღს მაშინ დავყრი, როცა მამულის თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება...

ოსმალოს ჯარისკაცები შეშინებული გვყავს, წინანდებურად ველარ ბედვენ გლეხების სახლში შესვლას, რადგან ყველა აჯანყებული ჰგონიათ და არავის ენდობიან...

სურსათი მოგვდის როგორც ქრისტიანებისაგან, ისე მაჰმადიანებისაგანაც. ბევრ ადგილას მაჰმადიანები დიდის მოწიწებით გვეპყრობიან და სცდილობენ გვაამონ. ამიტომაც არის, რომ თუ არ ჯარის კაცსა და მეომარს, ხელს არავის ვახლებთ. გლეხი მეტად სტუმართმოყვარეა მთელ მაკედონიაში. როცა ერთხელ წერილის გაგზავნა დამჭირდა, მოხუცმა გლეხმა უთხრა შიკრიკს—თავი გაიწირე და ამ წერილს ოსმალებს ნუ ჩაუგდებ ხელშიო.

ხალხი მოუთმენლად ელის აჯანყების დღეს; მას გადაწყვეტილი აქვს თავი გასწიროს თავისუფლებისათვის. ყველგან გესმის—რაც მოხდება, ამ ზაფხულ უნდა მოხდეს; მეტი მოთმენა აღარ შეგვიძლია, ვიბრძოლებთ მთელის ძალ-ღონით.“

ინგლისი. ჯონ-მორლეის შეჰხვდა ნიუკესტლში იქ მცხოვრები ირლანდიელები და მისასალმებელი ადრესი მიუტანეს. მხცოვან მოღვაწეს საპასუხო სიტყვა უთქვამს: „საადგილ-მამულო ბილი, უეჭველად, ახალი თავია დიდი ბრიტანიისა და ირლანდიის დამოკიდებულების ისტორიაში. ის პოლიტიკა, რომელზედაც დამყარებულია ბილი, ველარ გამოიცვლება; მას ვრცელი და ღრმა შედეგი მოჰყვება...ახალი კანონ-პროექტი დიდი რევოლიუციაა: რაც არ უნდა ვსთქვათ, მისი საბოლოო შედეგი ლენდ-ლორდიზმის მოსპობაა, და ეს კი ქვეყნის წესწყობილების გარდაქმნას მოასწავებს. როცა მიწათ-მფლობელობის ძველი სისტემა გაჰქრება და ახალი დამყარდება, გაჩნდება უძნელესი კითხვა—რა მომავალი უნდა ექმნეს ირლანდიის საზოგადოებას. წინასწარმეტყველება აქ ძნელია. რაც უნდა იყოს, სიგიჟე იქმნებოდა ნაციონალისტებისა და ლენდ-ლორდების მხრივ პროექტი არ გაიყვანონ...ვინმემ რომ მითხრას აგრარული ბილი გადასწყვეტს ირლანდიის მართვა-გამგეობის კითხვასაცო, მე ვერ დავეთანხმებოდი... (მოწონება). ჰომრული ცარიელი ფრაზა არ არის, არც განყენებული ან მეტაფიზიკური კამათი; იგი რეალური კითხვაა და თავის დროზე ბრიტანიის პარლამენტი მასაც განიხილავს (მოწონებაა)...

მე ეჭვი არა მაქვს, რომ ეხლანდელ პრემიერს გულ-წრფელად არ ეთქვას—ჰომრულის პროექტის წარმოდგენა პარლამენტში სამინისტროს აზრადაც არ მოჰსვლიაო, მაგრამ მოვლენათა მიმდინარეობას თავის ნებაზე მიჰყავს ლიბერალებიცა და კონსერვატორებიც.“

ახალი ამბავი

◆ 15 აპრილს „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ, სხვათა შორის, განიხილა მოხსენება **ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის** სამზრუნველო კომიტეტისა მომავალ წლიდან ამ სკოლასთან მე-5 და მე-6 კლასის გახსნის შესახებ. რადგან გამგეობას დასჭირდა ზოგიერთ დამატებით ცნობების შეკრება, ამიტომ საკითხის არსებითად განხილვა ერთის კვირით გადასდო.

◆ დღეს, 17 აპრილს, ქალაქის სამკურნალოს სადგომში სხდომა ექმნება **სასანიტარო სამკურნალო საბჭოს**. საბჭომ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ქალაქის მოურავის წინადადება იმის შესახებ, როგორი სამკურნალო უნდა დაარსდეს მ. ო. არამიანცის მიერ შეწირულ 100,000 მანეთით, მოხსენება ექიმის თათეოზიანცისა სადეზინფექციო გადასახადის მოსპობის შესახებ და სხვა.

◆ 14 აპრილს საქართველოს **ექსარხოსი ქუთაისის გუბერნიაში** წავიდა, საიდანაც პირველ მაისს დაბრუნდება. შემდეგ ექსარხოსი პეტერბურგს წავა.

◆ ამას წინად ვსწერდით, რომ ტფილისის გუბერნიის **სახალხო სკოლების დირექტორი** დიმიტრიევი სხვაგან გადაჰყავთო. ეხლა „კავკაზ“-ში ვკითხულობთ, რომ დიმიტრიევი ყარსის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორად დანიშნესო. ამ ოლქში დირექტორის თანამდებობა არ არის.

◆ 15 აპრილს ექიმის ლუნკევიჩის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა **სამკურნალო საზოგადოებას**. საზოგადოებამ ეს კრება თანამდებობის კაცთა არჩევას მოანდომა. გამგეობის წევრებად აარჩიეს ექიმები: მ. გედევანიშვილი, რუდენკო, ფიშერი, ნოვიცკი და მარკევიჩი; კანდიდატად ექ. ლუნკევიჩი; სარევიზიო კომისიის წევრებად: გოლოვკოვი, ექ. გ. გაბაშვილი და როტინიანცი, ხოლო კანდიდატებად ერდელი და ავეტისოვი. ამავე კრებაზე აარჩიეს საამხანაგო სასამართლოს წევრებად ექიმები ლარიონოვი, ჩუდნოვსკი და შახპარონიანცი.

◆ როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ს ატყობინებენ, **არტისტი ალექსი მესხიშვილი** ერთის თვის შემდეგ აპირებს თურმე ვენიდან ქუთაისში დაბრუნებას.

◆ ტფილისის თვით-მმართველობას **ქალაქში სულ 18 სკოლა ჰქონია**. შარშან ამ სკოლებში სწავლობდა 1919 ბავშვი. რუსი ყოფილა 812, სომეხი—622, ქართველი—436, თათარი—47 და ებრაელი—2. წოდებით ასე განაწილდებიან: თავად-აზნაურისშვილი—78, მოქალაქისა—964, გლეხისა—885 და სხვა წოდებისა—34.

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებს წელს ეგზამენებისათვის მოსამზადებლად ითხოვენ [illegible] 22 აპრილს. პირველი ეგზამენი დანიშნულია 24 აპრილისთვის. ეგზამენები დამთავრდება ივნისის პირველ რიცხვებში.

◆ გუშინ, 16 აპრილს, მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ნება დართოს საბოტანიკო ბაღის ადმინისტრაციას საკუთარის ფულით შეაკეთოს გზა ლოლაძის სახლის წინ, ციხის ალაყაფის კარებიდან კოჯორის აღმართამდე, რადგან ეს გზა მეტად გაფუჭებულია. გამგეობამ გუშინვე მისწერა რწმუნებულს პასუხი და შეატყობინა, რომ ბაღის ადმინისტრაციას შეუძლიან შეაკეთოს ხსენებული გზა.

◆ ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში კლასიდან-კლასში გადასვლა და აგრეთვე მისაღები ეგზამენები დაიწყება 3 მაისიდან და გასტანს ივნისის შუა რიცხვებამდე.

◆ 15 აპრილს ნიკიტინის ცირკში იჭიდავეს ცნობილმა მოჭიდავეებმა კუდა გლდანელმა და ვილიამ მოორმა. გაიმარჯვა კუდა გლდანელმა. ჭიდაობამ სულ სამი-ოთხი წუთი გასტანა. ცირკი გაჭედილი იყო ხალხით.

◆ 15 აპრილს, პოლიციის მე 7 ნაწილში ტფილისის მაზრის მცხოვრები ხაჩატურ მირზოევი რაღაც მიზეზისა გამო წასჩხუბებია თავის სიმამრს ტფილისის მოქალაქე ავეტისანოვს, რომლისთვისაც რკინის შამფური სამჯერ ისე ძლიერ ჩაუკრავს კისერსა და ყელში, რომ ავეტისანოვი ცოტა ხნის შემდეგ გარდაცვლილა. მირზოევი დააპატიმრეს.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის ახალმა მოურავმა თავ. ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა დაათვალიერა ქალაქის სასანიტარო სამკურნალო დაწესებულებანი.

◆ ბაქოელი ვაჭარი ალაჰვერ ზეინალ-ოღლი 15 აპრილს რკინის გზის სადგურისაკენ მიდიოდა. ჯიბგირებს შეუნიშნავთ, რომ ზეინალ-ოღლის ფული ჰქონია. სადგურს მახლობლად ჯიბგირებს დაუგდიათ ქაღალდში გახვეული კენჭები. ზეინალ-ოღლის აუღია ქაღალდი. ამ დროს მისცვივნიან ჯიბგირები, დაუწყიათ ჩხუბი, ჩვენი ფული იპოვნე და დაგვიბრუნეო, და ისე მოხერხებულად გამოუცლიათ ხელიდან 306 მანეთი, რომ იმას ვერაფერი გაუგია, ვიდრე ჯიბგირები არ დამალულან.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, სოლომონოვის ქუჩაზე, სახლზე მუშაობის დროს მუშა არაქელოვი მაღლიდან ჩამოვარდნილა. დაშავებული არაქელოვი გაუგზავნიათ მიხაილის სამკურნალოში.

◆ გუშინ, 16 აპრილს, ტფილისის ფერის-ცვალების მონასტრის ძმობამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა უფასოდ დაუთმოს ქალაქის მილიდან საჭირო წყალი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 16 აპრილი. საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრებამ აირჩია: დირექტორად-ისევ კ. ბ. ლორთქიფანიძე (ერთხმად), საბჭოს წევრებად—ისევ ძველები, სარევიზიო კომისიის წევრებად—ბ. ბ. მაჭავარიანი, გოცირიძე და ჭილაძე.

ფელეტონი

გახუნებულ აზნაურის წერილები

V

— ცოტას გაერთვებოდით და გულს გააყოლებდით რასმეს, თორემ იმდენი იარეთ მეცნიერულ საზოგადოებასა და კრებებზე, რომ ლამის შტერივით გაჰხდეთ; ხან-და-ხან გონებაც გეფანტებათ და თვალიც გირინდდებათ,-დილით ადრე შემოვიდა ჩემ ნომერში და ასე მითხრა ერთმა ჩემმა ძმის წულმა, ლურჯის „ვენგერკით“ მორთულმა. თან ამას მეუბნებოდა, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ცხვირით ყველა კუთხესა ჰსუნავდა.

— ჩემო კარგო, ეგ რა ამბავია, რადა ჰსუნავ ჰაერსა, თითქო მონადირის ძაღლი ალღოს იღებსო.

— ბიძა-ჩემო, შესანაყრებელი ხომ არა გახლდებათ-რა? წუხელ გვიანობამდე ქაღალდს ვთამაშობდი. რაც ფული მქონდა, უკანასკნელ კაპეიკამდე სულ ერთიან წავაგე. უნდა გამოგიტყდე, ცოტა რამ უსიამოვნებაც მომივიდა თამაშობის დროს, ასე რომ ფულის სესხებაც ველარ მოვახერხე იმ ბედნიერებისაგან, ვინც მოიგეს. საცა-კი შემეძლო, ყველასაგან გამორთმეული მაქვს ფული, ასე რომ ეხლა ველარსად ველარ გავიმართები.ისეთი-კი მშიან, სწორე მოგახსენო, რომ იყოს, მთელს ძროხას გავათავებდი.

— ცუდადა ყოფილა, ძმაო, შენი საქმე!... კამოდის უჯრა გამოსწი. რაც სადილ-ვახშამს გადამრჩება ხოლმე, მანდ ვინახავ. აგე იქ, ფანჯარაში, ცოტა ღვინოცა დგას ბოთლის ძირში.

დამშეულ ყმაწვილ-კაცს მეორედ თქმა აღარ დასჭირდა. თვალის დახამხამებაზე ყველაფერი ამოალაგა და ხმა ამოუღებლივ ქორივით დაეცა ცივ ხორცის ნაჭერს. ვუყურებდი ამ ჯანით სავსე კაცსა, იმის ბუღასავით სქელ კისერს, ბრჭყვიალა, თეთრ და მშვენიერ კბილებს, ყურს ვუგდებდი, როგორ მაგრად იქნევდა და აკაპუნებდა ღონიერ ყბებს და ვფიქრობდი, ეს ღონე რომ თავის მამა-პაპის სოფელ ქორიანთ ხევში ოხრად გაშვებულ მამულს მოახმაროს, სწორედ სასწაულებს მოახდენდა და იმ მამულის პატრონსაც სამუდამოდ გაანთავისუფლებდა საეჭვო კამპანიებში ტრიალისაგან; იმისთვის საჭირო აღარ იქნებოდა ნაცვლად ჰაერის სუნვა და მუდამ დამამცირებელი ფიქრი და თავის მტვრევა, თუ სად ისაუზმოს, სად ისადილოს და სად ივახშმოს?

— გესმის, რა არის, მოდი, შენ სოფელში წადი; მეურნეობას მოჰკიდე ხელი და მამულს მოუარე. ღმერთს შენთვის ჯანი მოუცია, მამა-პაპასაც ცოტა რამ დაუტოვებიათ...

— ეჰ, ბიძია, თავი დავანებოთ მაგ ფილოსოფიას; არ გეზარებათ, მაგას მირჩევთ, —მიპასუხა ძმისწულმა.

შიმშილი მოიკლა და ეხლა ახალ პლანებს აწყობდა, როგორ გაეტარებინა დანარჩენი დღე. რაც იმის სურვილსა, პლანებსა და აზრებს ეწინააღმდეგებოდა, ჩემ პატიოსან ძმის-წულს ყველაფერი თავ-მოსაბეზრებელ და სულელურ ფილოსოფიად მიაჩნდა. იმისი საყვარელი ფილოსოფია, ესე იგი ის ფილოსოფია, რომელსაც თითონ აღიარებს და ჰქადაგებს, მეტად მარტივი და ადვილი გასაგებია. ჩემის ძმის-წულის ფილოსოფია არის: უსაზღვრო კომუნიზმი, საერთო თამბაქო, საზოგადო საფულე ქისა, მხოლოდ, რასაკვირველია, ეს ქისა ცარიელი არ უნდა იყოს, მოხერხებულად და ხელ-და-ხელ ფულის სესხება, დაბრუნებისაგან კი ღმერთმა დაიფაროს; საუზმე, სადილი და ვახშამიც ციდან უცვივდებოდეს მანანასავით...

— საყვარელო ბიძავ, მიყრუებულ სოფელში მგზავნით; წადი, იმუშავე ტალახიან მიწაშიო! რისთვისა, ეგ საჭირო? აქ თავისუფლად, არხეინად ვცხოვრობ, ისე ვცხოვრობ, როგორც ფრინველი ცისა.

— ქაღალდის თამაშობაში რომ უსიამოვნება მოგდის ხოლმე? თუ არა ვცდები და ჩემი დასუსტებული თვალები არ მატყუებენ, თვალ ზევით უცნაურად ჩაგლურჯებია.

ამ სიტყვაზე ძმის-წული როგორღაც შეკრთა.

— ეგ რა სათქმელია. კარებს დავეჯახე.

— ან იქნება... კლუბის შანდალს დაეჯახე. ცის ფრინველივით თავისუფალ ცხოვრებაში მაგისთანა ამბავიც გადაგხდება ხოლმე, არა? გატყდი რაღა, ქვა ხომ არა ხარ!

—ეხლა კი, ბიძია, ნამდვილად დავრწმუნდი, რომ თქვენ წაგახდინეს ყველა იმ ღრმააზროვანმა საზოგადოებამ, სადაც მთელი ეს ხანი დაიარებოდით. მოდით, დღეს თეატრში წავიდეთ. მშვენიერ პიესას აღგენენ, საოცარი რამ არის; ისტორიული პიესაა ჩვენის დიდებულ წარსულ ცხოვრებიდან. ბილეთებს მე ავართმევთ.

— ბილეთებსაო? რა ბილეთებს! მე მარტოდ-მარტო ვარ აქა.

— ორ ბილეთს ავიღებ, რაღა: თქვენთვის და ჩემთვის. უნდა მოგახსენოთ, კარგა ხანია, რაც ჩვენ თეატრში არა ვყოფილვარ... ყოველთვის მიშლიდა რამე... ფული მიბოძეთ, თორემ საღამოს ერთს ბილეთსაც ველარ ვიშოვით. სულ ექვსი მანეთი მიბოძეთ. ორი ბილეთი—4 მანეთი ჰღირს, 2 მანეთსაც პაპიროზის ფულს გადავიხდი.

— რა პაპიროზს ამბობ?

— მაღაზიაში მმართებს; სირცხვილია, სწორედ თეატრ ქვეშაა მაღაზია; თუ ეგ ნისია არ მივეცი, თეატრშიც ველარ გამოგყვებით.

ერთი ღონივრად ამოვიოხრე, მაგრამ ფული კი მაინც მივეცი ამ „ვენგერკიან“ ქარაფშუტას. რას იზამთ, უნდა შევეწიოთ ქართულ დაწესებულებას.

საღამოს პირველ რიგის სავარძელში ვიჯექ და ფარდას შევცქეროდი. ეს ფარდა გაცარცულ და მოტვლეპილ შემოდგომის სახნავ მიწას გახსენებთ. ზედ ვიღაცა ქალები იყვნენ დახატულნი ფეროვანის ტანისამოსით. უკან მივიხედე: თეატრის დარბაზი თითქმის ცარიელი იყო; აქა-იქა კუთხეში დაღონებული კაცები მოსჩანდნენ. ჩემი ძმის-წული მალ-მალ სადღაც ჰქრებოდა და როცა ბრუნ-

ივერიელი

რუსეთის ქრონიკა

◆ სენატმა განმარტა, რომ საგუბერნიო გამგეობას, როდესაც ვისმეს სახლის აგების ნებას აძლევს, უფლება არა აქვს სახლის დანგრევის პირობა ჩამოართვას იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა ქუჩის გაფართოვება შეიქმნა საჭირო.

◆ დიდი ხანია ოდესსაში ლაპარაკი აღძრეს სავაჭრო დაწესებულებების ნოქართა სამუშაო დროს განწესრიგების შესახებ. ეხლა ხან ადგილობრივ საბირჟო კომიტეტს ამ საგნის შესახებ ვაჭრობის დეპარტამენტისათვის გაუგზავნია მოხსენება. საბირჟო კომიტეტის აზრით, ნოქართა სამუშაო დრო უნდა იწყებოდეს დილის 5 საათზე და თავდებოდეს საღამოს 8 საათზე. ამ ხნის განმავლობაში ნოქრები 12 საათზე მეტი არ უნდა ამუშავონ. ამიტომ ისეთი სავაჭრო დაწესებულება, სადაც ნოქართა მორიგეობა არ არის შემოღებული, 12 საათის შემდეგ უსათუოდ უნდა დაიკეტოს. ვინც დაწესებულებას დილის 5 საათზე გააღებს, იმან საღამოს 5 საათზე უნდა დაკეტოს; ვინც დილის 6 საათზე—საღამოს 6 საათზე და სხვა. უქმეობით დაწესებულება ღია უნდა იყოს დილის 11-დან საღამოს 8 საათამდე; კვირაობით ღია უნდა იყოს სამი საათი დილით, მაგალითად 7-დან 10 საათამდე. სავაჭრო დაწესებულებებს უსათუოდ უნდა აეკრძალოთ 12 წლისაზე უმცროსების მიღება.

◆ ამას წინად იალტაში პოლიციას შტუნდისტები დაუპატიმრებია. ეს სექტანტები, 20-მდე კაცი, სალოცავად შეკრებილან გლეხის კაზაკოვის სახლში. როდესაც პოლიცია შესულა, ყველანი დაჩოქილნი იყვნენ, მხოლოდ ერთი იდგა ფეხზე და რაღაც ლოცვას ამბობდა. პოლიციის მოხელეს უკითხნია, აიღეთ თუ არა ნება-რთვა კრების მოსახდენადაო, რაზედაც სახლის პატრონს მიუგია: „პოლიციისაგან ჩვენ ნება-რთვას არ ვიღებთ ლოცვისათვის; ნება-რთვას მხოლოდ ღვთისაგან ვიღებთ, ლოცვა აკრძალული არ უნდა იყოს და ყველას უნდა შეეძლოს პოლიციის ნება-დაურთველად სხვასთან ერთად ღმერთს შევედროს და ილოცოსო.“ პოლიციამ ოქმი შეადგინა და ყველანი პასუხის გებაში მისცა.

◆ პეტერბურგელ ჟურნალისტებს პეტერბურგის გაშენებიდან ორასის წლის შესრულების სახსოვრად განუზრახავთ ჟურნალისტთა კლუბის დაარსება. კლუბს საქველ-მოქმედო ხასიათი ექმნება.

◆ გაზეთის „ნოვოსტი“-ს საქმეების გამო დაწესდა ადმინისტრაცია. თავმჯდომარედ დაინიშნა ნაფიც-ვექილი მანდელი.

◆ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: „6 და 7 აპრილს კიშინევში მუშები თავს დაეცნენ ებრაელებს. უწესოება დაიწყო ებრაელთა დუქნებისა და სადგომების აკლებით. პოლიცია გააძლიერეს; დაიბარეს ჯარიც, მაგრამ ქალაქის ქუჩებში გაფანტული მუშები შეუდგნენ ფანჯრების მტვრევას ებრაელთა სახლებში. მუშებმა ორიოდე ქრისტიანის სახლის ფანჯრებიც ჩაამტვრიეს და ქონება გაიტაცეს. მეორე დღეს უწესოება განახლდა. თუმცა ჯარი დაიბარეს, მაგრამ უწესოება მაინც გაძლიერდა. რამდენსამე ადგილას ცხარე შეტაკება მოჰხდა. მებრძოლნი ხმარობდნენ ქვებს, ჯოხებს, რკინის ლომებს, რევოლვერებს. მოჰკლეს 25 კაცი, მძიმედ დასჭრეს 75, მსუბუქად—200 კაცი. ქალაქ კიშინევსა და კიშინევის მაზრაში გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღეს.“

◆ როგორც „ვოსტ. ობ.“-ე გადმოგვცემს, რკინის გზის ერთ აგენტს თავის უფროსისათვის შემდეგი მოხსენება გაუგზავნია: „8 იანვარს, საღამოს 9 საათზე, მეისრე მორდვინოვი ნაცვლად იმისა, რომ, თქვენის მოწერილობის თანახმად, მოსვენებას მისცემოდა, თავის მცირე-წლოვან ქალს ათამაშებდა, მაღლა ისროდა და საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა. თხოვე.“

პრესსა

„სიბირ. ნაბლიუდატელ“-ის უკანასკნელ წიგნში საინტერესო წერილია დაბეჭდილი ყირგიზების შესახებ. ავტორი ეხება ყირგიზების დაქვეითება-დაღარიბებას და ასახელებს ამის მიზეზებს.

1765 წელს ყირგიზის ველში მშვიდობიანობა ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული. ხან აქ, ხან იქ იფეთქებდა ხოლმე აღელვება რუსების წინააღმდეგ; ხან აქ, ხან იქ დაეცემოდნენ ხოლმე ყაზახთა სოფლებს. ყირგიზების თავს დასხმისაგან ყაზახთა სოფლების დასაცველად (ყაზახთა სოფლები მდინარე ირტიშის მარჯვენა ნაპირას მდებარეობდა), მარცხენა ნაპირას, მდინარის გაყოლებაზე, ომსკამდე შემოზღუდეს ადგილი, სიგანით ათი ვერსი, სადაც ყირგიზებს არ შეეძლოთ შესვლა. ეს შემოზღუდული ადგილი თავისუფალი იყო, იგი არც ყაზახებს მიეცა. ყირგიზებისთვის დიდი დანაკლისი იყო ამ ადგილის ჩამორთმევა, რადგან იგი საუკეთესო საძოვარ ადგილად ითვლებოდა. მაგრამ შემდეგში ყაზახები არც ამას დასჯერდნენ. ყაზახებმა უპირველეს ყოვლისა ამ ნეიტრალურ ადგილების სარგებლობას მიჰყვეს ხელი, შემდეგ, რადგან დროთა ვითარების გამო მიჯნები მოიშალა, შემოზღუდული ადგილი გააფართოვეს და ათის ვერსის ნაცვლად ყაზახებმა თვით ნებურად მიჯნები 20 და 30 ვერსზე გაიტანეს. თუმცა მწერლობაში არა ერთხელ სწერდნენ ამ ძალ-მომრეობის შესახებ, თუმცა თვით ყირგიზებმა არა ერთი და ორი საჩივარი გაჰგზავნეს, მაგრამ საქმეს დღემდე არა ეშველარა. ყაზახები 40 წელიწადია სარგებლობენ ამ უზარ-მაზარ ადგილით და თვით ყირგიზებს აძლევენ იჯარით იმ მიწებს, რომელიც იმათვე წაართვეს. ასე იქცეოდნენ გადასახლებულნი, თუმცა მთავრობა იმათ ყოველთვის ბლომა მიწას ურიგებდა. სენატის ბრძანების ძალით (1857 წ. 20 დეკ.) სანადელოდ ყაზახებსა და გადასახლებულ გლეხებს ეძლეოდათ დიდ-ძალი მიწა: თითო კომლის თითო მამა-კაცს ოცდა ათ-ათი დესეტინა. ამ კანონის ძალით ყაზახთა მიწა-ადგილები ციმბირში 50,001,751$^{1}/_{2}$ დესეტინამდე ავიდა. თითო მამა-კაცზე ორთა შუა რიცხვით მოდიოდა 88 დესეტინა, ზოგგან კი რაოდენობა მიწისა თითო სულზე აღწევდა 294 დესეტინამდე. სემირეჩინის ყაზახებმაც დიდ ძალი ადგილი მიიღეს; ფაქტიურად ეს ყაზახები 10-ჯერ იმაზე მეტსა ჰფლობელობდნენ, რაც კანონით ეკუთვნოდათ. ყირგიზთა ველში რუსების დამკვიდრების დროს გადასახლებულთ ეძლეოდათ საუკეთესო ადგილები, ისეთი, სადაც ხშირად ყირგიზების საძოვრები ან სადგომები იყო. ყირგიზებს არ ერიდებოდნენ, უწყალოდ ერეკებოდნენ და იმათ მამაპაპეულ ადგილზე ყაზახთა სოფლებს აშენებდნენ. სემირეჩინში ყაზახებმა ისე დაიტაცეს მიწები, ისე მიისაკუთრეს აქა-იქა ადგილები, რომ ერთისა და იმავე ყირგიზის ადგილი დაანაწილეს და დააშორეს ერთმანეთს. ყაზახებმა წყლები და სარწყავი არხებიც დაისაკუთრეს და ყირგიზებს სრულიად მოუსპეს სარწყავი წყალი. ეხლა ყირგიზები საცოდავ მდგომარეობაში არიან.

ქუთაისის ქალაქის საბჭო.

ქუთაისის საბჭოს 14 აპრილის სხდომაზე ხმოსნებს მირგვლად მოხსენდა ქუთათურ ნოქრების თხოვნა კვირა უქმე დღეებში შესვენების დაწესების შესახებ. ნოქრები თხოულობდნენ: „რადგანაც საქალაქო საქმეთა საკრებულოს კანონის წინააღმდეგად უღებია კვირა უქმე დღეებში მაღაზიების გაღება დილის 7-დან 8 საათამდე, ამიტომ, რაკი სიკეთეს შვრებით და გსურთ, კვირა-უქმე დღეებით სავაჭროები მთელის დღით დაიკეტოს, კანონის გვერდის ასახვევად დაადგინეთ, რომ მაღაზიები წირვის გამოსვლის შემდეგ 15 წამით გაიღოს. ამით კანონიც დაკმაყოფილებული იქნება და ჩვენს მიზანსაც მივაღწევთ. თუ არც ეს საშუალება ივარგებს, მაშინ თქვენთვის მოგვინდვია ჩვენი ბედი და თქვენ გამოგვიძებნეთ უკეთესი საშუალებაო“.

წამოდგა ერთი ხმოსანი ვაჭარი, მას მოჰყვა მეორე, გახსნეს ბაგენი თვისნი და ხმითა მაღლითა დაიძახეს: „ბატონებო! თუ ნოქრებს შესვენება მივეცით, არამც თუ ჩვენი ღარიბი ქუთაისი, მთელი ქუთაისის გუბერნია და მთელი საქართველო განსაცდელში ჩავარდება, რადგან ნოქრების კვირა-უქმე დღეებში შეუსვენებლობაზე დამყარებულია ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობაო“. და აღელვებულის ხმით, ცრემლითა ნაკადისათა გვედრებოდნენ ხმოსნებს, ნუ მისცემთ ნოქრებს მოსვენებას და ჩვენი სამშობლო განსაცდელს გადაარჩინეთო. ამ პატრიოტულის გრძნობით გამსჭვალულმა სიტყვებმა გასჭრეს, თუ სხვა რამ მიზეზით, თითქმის ყველა ხმოსნები უძრავად ისხდნენ მანამდის, სანამ ქალაქის მოურავმა საჭიროდ არ დაინახა კენჭის ყრით გადაწყვეტა ნოქრების ბედი. ჩვენებურს კენჭის ყრას კი, ხომ მოგეხსენებათ, საზოგადოდ რა შედეგი მოსდევს და აქაც 13 ხმის უმეტესობით 10-ის წინააღმდეგ გადაწყდა, ისევ ძველი წესი დარჩეს, ე. ი. კვირაობით და თორმეტ უმთავრეს უქმე დღეებით სავაჭროები გაღებულ იქმნეს 12-დან ნაშუადღევის მესამე საათამდის, ანუ, ქუთათურად რომ ვსთქვათ, მთელის დღით სწარმოებდეს ვაჭრობა. ამგვარად დაიმარხა ნოქრების საქმე, მაგრამ როდემდის?

ორპირის ქუჩის განაპირას მცხოვრებლები, რომელთაც დაკისრებული აქვთ ქუჩის გაკეთება, თხოულობდნენ: რადგან ორპირის ქუჩით ჩვენს, გარეშე მცხოვრებლებს გარდა, მთელი ქუთაისის გუბერნია სარგებლობს, ამიტომ ხარჯის რამოდენიმე ნაწილი ქალაქმა მიიღოსო. ქალაქის გამგეობას დაუდგენია: რადგანაც ქუჩების კაპიტალური შეკეთება მცხოვრებლების საქმეა და ქალაქსაც შეძლება არა აქვს რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს მათ, თხოვნა უყურადღებოდ დარჩესო. საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება.

ქუთაისში ცნობილი მოიჯარადრე ი. ჩილინგაროვი, რომელსაც ამ ორის წლის წინად იჯარით ჰქონია აღებული ქალაქის ხიდების შემოსავალი, სთხოვდა საბჭოს, რომ დაენიშნა კომისია ქალაქსა და მას შუა ჩამოვარდნილ დავის გამოსარკვევად. საქმე იმაშია, რომ ჩილინგაროვს არ გადაუხდია ხიდების იჯარის ფული 5000 მანეთი, რომელსაც ეხლა ქალაქი სასამართლოს წესით ჰძიებს მისგან; ჩილინგაროვი-კი ამტკიცებს, ქალაქისაგან მე აქეთ 5000 მანეთზე მეტი მერგებაო. ქალაქის გამგეობისაგან წარმოდგენილ მოხსენებიდან სჩანს, რომ ჩილინგაროვს მისგან სრულიად არაფერი ერგება, რადგან ყოველი ანგარიში გასწორებული ყოფილა. საბჭომ უყურადღებოდ დატოვა მისი თხოვნა.

საბჭოს წევრად ყოფილი ი. გ. ჩიმაკაძე, რომელიც ბ-ნ გუბერნატორის განკარგულებით ამ ორის წლის წინად სასამართლოში იქმნა მიცემული სამსახურის დროს დანაშაულის ჩადენისთვის და საქმის გარჩევამდის სამსახურიდანაც იყო დათხოვნილი, თხოულობდა, მისცემოდა სრული ჯამაგირი იმ დრომდის, სანამ მის ადგილზე ახალი წევრი გ. ნ. კანდელაკი არ იქმნა არჩეული, ე. ი. 1902 წლის 6 ნოემბრამდის.

კამათის დროს ხმოსანთა უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ჩიმაკაძეს უნდა მისცემოდა ფული. მაგრამ როდესაც კენჭი ჰყარეს, აღმოჩნდა, რომ საბჭომ 17 ხმის უმეტესობით 9 წინააღმდეგ უყურადღებოდ დასტოვა ჩიმაკაძის თხოვნა. კენჭის ყრის შემდეგ დ. ნ. აბდუშელიშვილმა წინადადება მისცა საბჭოს, ნახევარი მაინც მისცემოდა ბ-ნს ჩიმაკაძეს; მაგრამ ეს წინადადება გადაიდო.

დონ გუდიანი

თეატრი

დღეიდან „საარტისტო საზოგადოების“ თეატრში იწყება წარმოდგენები რუსულ დრამატიულ დასისა, ცნობილ არტისტ ქალის იავორსკის მონაწილეობით. დღეს წარმოადგენენ დიუმას დრამას „მარგარიტა გოტიე“-ს.

დებოდა, ისე მეჩვენებოდა, თითქო ძალზე ღვინის სული ასდიოდა.

— რატომ შენ ადგილზე არ დაჯდები? დაჯე, ეხლავე დაიწყობენ,—ვსთხოვე, მაგრამ ის მაინც ისევ ჰქრებოდა და უფრო და უფრო გაწითლებული ბრუნდებოდა.

ბოლოს ფარდა ზედ დახატულის ქალებით აფრიალდა და წარმოდგენა დაიწყო. დასაწყისიდანვე ვიგრძენ, რა ძლევა მოსილი, მამაცი და უძლეველი ხალხიცა ვყოფილვართ. ვიღაცა პატარა კაცუნა ძველებურ ჭრელის კაბით ნაძალადევის ხმით სულ ჩვენ მამაცობასა, კეთილშობილებასა, ათას ქველობასა და ღირსებაზე ელაპარაკებოდა ხალხს—მხოლოდ ოთხი კაცი კი იდგა იმის წინ—სულ იმას ჩასძახოდა: მტერს დავეცნეთ, წყეული უსჯულოები დავამხოთო. ხალხიც ბავშურად უპასუხებდა: საქართველოს გაუმარჯოს! დაიღუპნენ სპარსელები! სცენაზე დედა-კაცებიც, ჭრელ სამასკარადო ტანისამოსით მორთული სუსტი დედაკაცებიც კი სულ გმირები და ლომები გამოდგნენ. და როცა ეს უცნაური გმირები, ქალები, თუ კაცები, უცნაურის ხმით ჩვენებურ სიმამაცესა და დიდებაზე ლაპარაკობდნენ, ჩემ გვერდზე მჯდომი ჯეელი და მოხუცი კაცები სამოქალაქო ტანისამოსით ალტაცებაში მოდიოდნენ, ამაყად იცქირებოდნენ აქეთ იქით და იძახოდნენ: ვაშა! ვაშა! საქართველოს გაუმარჯოს! ვაშა!

კულისებს იქიდან წითელ შალვრიანი მტერი გამოდიოდა მოკაკულ ხმლებით; ჩვენება თავს ესხმოდნენ და საზარელის ყვირილით წითელ-შალვრიან მტერს ამარცხებდნენ. საზოგადოება ტაშს უკრავდა და აღტაცებას უცხადებდა გამარჯვებულ გმირებს. კულისებს იქით წამ და-უწუმ დამბაჩების ჭახა-ჭუხი ისმოდა. ფარდა ეშვებოდა და საზოგადოება ხმა მაღლა ყვიროდა და აქტიორებს ეძახოდა.

ჩემ გვერდზე ერთი რუხის-ფერ პიჯაკიანი კაცი იჯდა; წითელი სახე განათებული ჰქონდა ნეტარის ბედნიერებით.

— ამიხსენით ერთი თუ ღმერთი გწამთ, დავეკითხე ამ მეზობელს: რას ჰნიშნავდა, რა იყო ესა? უნდა მოგახსენოთ, რომ მიყრუებულ სოფლიდან გიახელ და ვერაფერი ვერ გამიგია.

მეზობელმა გაკვირვებით შემომხედა და მკითხა:

— განა ჩვენი წარსული არ გიყვართ?

— მერე ჩვენი წარსული აქ რა შუაშია?

— რაც კი ეხლა აქ სცენაზე ჰნახეთ, ეგ სულ ჩვენი წარსულია, ჩვენი დიდებული წარსული,—მიპასუხა გახუნებულმა რუხისფერ პიჯაკიანმა კაცმა და კოჭლობით დარბაზიდან გავიდა.

გულის ტკივილით და გაკვირვებით ვუყურებდი ფარდას. ეხლა ფარდაზე დახატული იყო რაღაცა მაღალი ციხის კედელი. ვუყურებდი და ვფიქრობდი: ვანა შესაძლებელია, რომ ჩვენი წარსული ასეთი უაზრო, ასეთი ღარიბი და ჭრელი ყოფილიყო, როგორც ეხლა ამ სცენაზე ადგენენ. მერე ისიც ვინ ადგენენ? ვისაც ბუნებრივად, რიგზე ლაპარაკიც კი ვერ მოუხერხებიათ. თუ სცენამ სარკესავით ცხოვრება უნდა დახატოს, მაშ ეს კაცები ასე უსწორ-მასწოროდ რად გადმოგვცემენ ჩვენ წარსულ ცხოვრებას? განა შეიძლება, რომ მთელ ჩვენ წარსულ ცხოვრებაში ტრაბახა და გაბრტყელებულ ფრაზებისა, გმირ ქალებისა და კაცებისა და დამბაჩების სროლის მეტი არა ყოფილიყოს-რა? ამბობენ, სცენა სკოლა უნდა იყოსო. მაგრამ როცა ხალხს სცენიდან მარტო ამისთანა ამბებით აქცევენ, აჯადოვებენ და ისტორიაზე ცრუ აზრებსა და შეხედულებას უნერგავენ, განა ყველა ამას ვნების მეტი მოაქვს რამე? ფარდაზე დახატულ ციხის კედელს შევხედე და, ცოტა არ იყოს, მხატვრის აზრს მივხვდი. მხატვარს უნდოდა ეჩვენებინა, თუ რა საშინელი ჩინეთის კედელია ამართული ჩვენ სცენასა და ცხოვრებას შუა. ფარდის აქეთ სდუღს და სჩქეფს ნამდვილი, რეალური ცხოვრება თავისის უჩინარის გმირებით, ბედნიერებისა და არსებობისათვის ბრძოლით, სილატაკისა, ვაებისა და წვალების უსაზღვრო ზღვით და სიხარულისა და ბედნიერების ნამცეცებით. ფარდას იქით კი—გაზვიადებული და ბრტყელი ფრაზები, ტრაბახა თვით-კმაყოფილება, ფსიხოლოგიური სიცრუე, ტყუილად ნასროლ თოფის წამლის ბოლით სავსე ჰაერი...

ანტრაქტების დროს ვხედავდი, რომ უკანა ადგილებში მსხდომი საზოგადოება ნელ-ნელა ადგილს ინაცვლიდა და წინა რიგებში ხტებოდა. ბაყაყებმაც ასე იციან: როცა ჭაობს მიატანენ, ისკუპებენ და შიგ ხტებიან. რაღა თქმა უნდა, საზოგადოება ამას მარტო განათლების წყურვილით სჩადიოდა.

უკანასკნელ მოქმედების დროს, როცა სცენაზე ყველა მტრები გაანადგურეს, და ყველა დამბაჩები დასცალეს, ჩემი ძმის-წულიც საიდანღაც ძალზე მთვრალი მოვიდა.

— სად დაიკარგე, ჩემო კარგო, განა შენ არ გიყვარს ჩვენი წარსული? შევეკითხე.

ამაზე ძმის-წულმა მიპასუხა, მაგრამ ვაი იმ პასუხს,—ენა სულ ებმოდა:

— დღეს მშვენივრად მოვეწყე სხირტლაძესთან. მთელის კამპანით ვქეიფობთ სულ ნამდვილ ნემეცის ქალებთან. ცოტა კიდეც გადავკარ.... თქვენი სადღეგრძელო.

— ფული საიდანღა იშოვე?

— ნუ გამიწყრებით კი, ბიძა-ჩემო, და ჩემთვის ბილეთი სულაც არ ამიღია. თქვენთვის კიდე უკანასკნელ რიგის ბილეთი ვიყიდე 10 შაურად. დანარჩენი ფული კი ფაფუ!—აქ ისე ღონივრად დაუსტვინა, რომ მთელმა თეატრმა გაიგონა.

წარმოიდგინეთ, ბატონებო, ჩემი ყოფა! 10 შაურიანის ბილეთით ამ თავზე ხელ-აღებულმა კაცმა წინა რიგში გამომჭიმა.

ძმის წული მამშვიდებდა:

— ნურა გეფიქრება რა; აქ ასეა მიღებული! აქ ყველაფერი შინაურულადაა. აკი ამიტომ ამათ კასაშიაც ისე ხშირად თამაშობენ თაგვები, როგორც ჩემს ჯიბეში. ერთი შეხედეთ, შეხედეთ და უკანა რიგებიდან როგორ კუნტრუშით გადმოდიან წინა რიგებში!.. ამ სცენაზე რაღას ჰყბედობენ, ბიძია? ჰა?

სცენაზე კი ჩვენს რაინდობასა, ჩვენს კეთილშობილებასა და უსაზღვრო მამაკაცობაზე ლაპარაკობდნენ...

დ. ყ.

მოსკოვის სამხატვრო თეატრში წელს სეზონი გორკის პიესით „На днѣ“-თი დამთავრდა. სულ სეზონის განმავლობაში ეს პიესა დადგეს 50-ჯერ. მარტო ამ ერთ პიესის შემოსავალი იყო 87,000 მანეთი.

დაბა-სოფლები

დ. ლანჩხუთი (გურია). ჩვენ დაბას თანდა-თან წარმატება ეტყობა. წარსულ წელს გადააკეთეს ორ-კლასიანი სკოლა საქალაქო სასწავლებლად. აქაურ მცხოვრებთა თხოვნით და მეცადინეობით მთავრობამ გადასწყვიტა სასამართლოს დაარსება, რომელსაც დღითი-დღე მოველოდებით: მესამე წელიწადია, რაც აქ დაარსდა სასოფლო შემნახველ-გამსესხებელი ბანკი; 1902 წელს დააარსეს ხორცის ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს მიაწოდოს საზოგადოებას მუდამ კარგი ხორცი. არ გაივლის ისე არც ერთი წელი, რომ რამე საზოგადო სასიკეთო დაწესებულება არ მოიგონონ და არ დააარსონ. მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ყოველსავე ასეთს დაწესებულებას მოწინააღმდეგენი და მოქიშპენი დაარსებისთანავე გამოუჩნდებიან ხოლმე, რომელნიც ცდილობენ შეაფერხონ. ავიღოთ მაგალითად, აქაური შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. წლის თებერვლიდან დაწყებული დღემდე სამჯერ მოხდა კრება. საქმე ძლივს გათავდა. კრებაზე ერთი არეულობა, მუქარა და ყაი-ყაყანი იყო. ამხანაგობას ამ ჟამად 304 წევრი ჰყავს.

კრებამ ბოლოს დაამტკიცა წლიური ანგარიში. მთელი მოგება 1902 წლისა, გამორიცხვით სათადარიგო თანხისთვის 116 მან. 01 კაპეიკისა, გადადვეს ამხანაგობისათვის სადგომის ასაგებად. გამგეობის სამ წევრს დაუნიშნეს გასამრჯელო ათ-ათი თუმანი, ხოლო საბჭოს წევრებს უარი უთხრეს. ეს კრება 10 თებერვალს მოხდა, მეორე კრება—10 მარტს. ამ კრებამ კენჭის ყრით უკანონოდ სცნო 10 თებერვლის კრება. კენჭის ყრამ დიდ-ხანს გასტანა, ამიტომ მესამე კრება მოხდა 16 მარტს. კრებამ დაადგინა შემდეგი: 1) მიიღეს და დაამტკიცეს ამხანაგობის 1902 წლის ანგარიში; 2) მოგება 1902 წლისა გადასდეს წევრთა შორის დასარიგებლად; 3) ამხანაგობის გამგეობის წევრთ ჯამაგირზე უარი უთხრეს და სთხოვეს ძველ გამგეთ ერთი წლიწადი კიდევ ემსახურნათ უსასყიდლოდ. გამგეობამ მოახსენა კრებას: „ჩვენ აგერ ორი-სამი წელიწადია, უსასყიდლოდ ვშრომობთ და მომავლისათვის რომ სასყიდელი არ დაგვენიშნოს, სამსახური აღარ შეგვიძლიან; გთხოვთ ჩვენ განგვათავისუფლოთ და სხვები აირჩიოთ“. კრებამ ყოფილ გამგეობას მადლობა გამოუცხადა და ახალ წევრებად ერთხმად აირჩია: მ. ნესტორ მხეიძე, ისაკ ურუშაძე და ვლადიმერ კალანდაძე, რომელთაც აღუთქვეს კრებას ერთი წლიწადი უსასყიდლოდ შრომა. ამნაირად გათავდა კრება. უთანხმოება მაინც არ მოსპო წევრთა შორის ამ კრებამაც. ეხლა სადავო საგნათ გადაიქცა სარგებლის დარიგება წევრთა შორის. უმეტესი ნაწილი ეხლა წინააღმდეგია სარგებლის უკან გატანისა; რომ ვკითხეთ, რამ გაიძულათ, რომ კრებაზე ასე დაადგინეთო, გვიპასუხეს: ეს დავადგინეთ მაშინ, როცა კრებიდან თითქმის ყველანი წავიდნენ და დარჩნენ თავმჯდომარე, მდივანი და ოციოდე წევრიო. **დ. ი.**

ბარის ოსეთი. ბარის ოსეთის სამღვდელოებას, ყოვლად სამღვდელო კავკასიის და მოზდოკის ეპისკოპოსის ვლადიმერის შუამდგომლობით, ჯამაგირები მოუმატეს: მღვდლებს 100 მ. და მედავითნეებს 50 მ. ამ ნაირად დღეის შემდეგ ბარის ოსების სოფლების მღვდლები იღებენ ჯამაგირს 500 მ. და მედავითნეები 150 მ. წელიწადში.

ბარის ოსეთის სამღვდელოებას, გარდა ჯამაგირისა, აქვთ საკრებულო მიწები, 60-დან 81 დესეტინამდე. ამ მიწებიდანაც კრებული წელიწადში იღებს 500—600 მანეთამდე; სხვა წვრილი შემოსავალიც ექნებათ 200—250 მანეთამდის, ასე რომ ბარის-ოსეთში თითო ეკლესიის მღვდელ-დიაკონი წელიწადში იღებს, 1500 მანეთამდე. **ქართველი ოსებში.**

არდანუჩი. 8 აპრილს, საღამოს რვა საათზე, მთელი არდანუჩი დაფეთურდა. 75 წლის მოხუცი დედაკაცი კატო კონტინიანისა სადღაც დაიკარგა და იმის ძებნას შეუდგნენ, მაგრამ ამაოდ. იმ ღამეს დაკარგულის კვალი ვერსად ვერ მიიტანეს. მეორე დღეს გათენებისას ჭუბერ მოხუცს ზედ წააწყდნენ „არდანუჩის ხევში, იგი კლდის ძირას ეგდო. ეტყობოდა, რომ ავაზაკს ჯერ მოუკლავს მოხუცი და მერე გადაუგდია უშველებელი კლდიდან. გასინჯვის დროს დედაკაცს წინდებში უპოვეს თავის მოსართავი ოქროები, რიცაც მტკიცდება, რომ დედაკაცი მოკლულია არა გაძარცვის მიზნით. მკვლელი ჯერ არა სჩანს. **გლ. გოგიაშვილი.**

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 აპრილი

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ გამოცხადებულია, რომ ქალაქს კიშინევსა და იმის მაზრაში გაძლიერებულ დაცვის წესები იქმნა შემოღებული.

ვაშინგტონი. სტატს-სეკრეტარს ჰეისა და რუსეთის ელჩს ერთი საათის თათბირი ჰქონდათ მანჯურიის შესახებ. არა-ოფიციალურად ამტკიცებენ, რომ ამერიკელთა ინტერესი მანჯურიაში დაცული იქმნებაო.

ბერლინი. გაზეთ „ნაციონალ ცაიტუნგ“-ში დაბეჭდილია წერილი „მანჯურიის საქმეები“. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ გერმანია არ ეკუთვნის იმ სახელმწიფოთ, რომელნიც დაინტერესებულნი არიან, რუსეთმა ჩქარა დასტოვოს მანჯურიაო. გერმანიამ რამდენჯერმე ახსნა, რომ მანჯურია რუსეთის გავლენის ქვეშ უნდა იყოს. თუმცა სახელმწიფოები შეთანხმდნენ, ჩინეთის სახელმწიფო ხელ-უხლებელ დარჩეს, მაგრამ მანჯურია გერმანიას მაინც არ მიაჩნია იმ ადგილად, რომ სახელმწიფოთა შეერთებულ გავლენის ქვეშ დარჩესო. გაზეთი იმედს აცხადებს, ეს საქმე მშვიდობიანად გადაწყდებაო.

ზემლინი. ოსმალეთის ელჩმა ბელგრადში გამოაცხადა: ოსმალეთი იმიტომ არის მოლოდინში, რომ უნდა ერთბაშად ბოლო მოუღოს ალბანელთა ურჩობას და ეგრეთ დამარცხებაც თავიდან აიშოროს, თორემ ეს გარემოება ალბანელებს გაამხნევებსო. ახლო მომავალში იპეკსა და დიაკოვოს 8 ბატალიონი ჯარი შევა და მაშინ წინააღმდეგობასაც ბოლო მოეღებაო.

მოსკოვი. უავგუსტოესის გენერალ-გუბერნატორის სახლში 14 აპრილს ბალი გაიმართა, რომელსაც მათი უდიდებულესობანი დაესწრნენ.

ვარშავა. გუშინ გაიხსნა აქაურ მთა-მადნის მრეწველთა მეექვსე კრება.

სოფია. საზღვრების გასამაგრებლად საზღვარო ერთი ბატალიონი ქვეითა ჯარი და ერთი ესკადრონი ცხენოსანთა გაჰგზავნეს სამოკოვს.

კონსტანტინეპოლი. სერესს გაჰგზავნეს 16 ოფიცერი, რომ ბოლგარიის საზღვრებზე სიმაგრეები ააგონ. ამ ოფიცრებს სწავლა გერმანიაში მიუღიათ.

ჰამბურგი. ნამდვილის ცნობებიდან სჩანს, რომ უკანასკნელის ცუდის ამინდების დროს დაღუპულა 83 გემი და 223 კაცი.

სოფია. „ბოლგარიის სააგენტო“ იუწყება, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომც ბოლგარელ ოფიცრებად ნამსახურთ იარაღი მოეპარათ და მაკედონიას გასულიყვნენ რუსეთის კონსულების დასახოცავადაო.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ოსმალეთის პოლიციაში ახალის წეს-რიგის შემოღებისათვის ევროპიელ ოფიცრების დანიშვნის შესახებ კრანბორნმა სთქვა: როგორც ბრიტანიის ელჩს კონსტანტინეპოლში ცნობები მიუღია, მთავრობას უკვე დაუნიშნავს ამ საქმისათვის შვეციის ოფიცრები.

სოფია. მაკედონიიდან მოსულმა შიკრიკმა ამბავი მოიტანა, რომ ბორის სარაფოვი დაჭრილი არ არის.

— გაზეთებში დაწვრილებითაა აწერილი ადრიანოპოლთან შეტაკების ამბავი. საზღვრების დარაჯებს მეამბოხეთაგან ათამდე დაჭრილი და წინამძღოლი დელჩევი შეუპყრიათ და დაუპატიმრებიათ.

— რილსკი პოლკის სამი სათადარიგო კაცი მიიწვიეს საზღვრების გასაძლიერებლად.

მოსკოვი. დედოფალი და დიდი მთავრის მეუღლე დილით „წითელი ჯვრის“ ივერიის სახელობაზე დაარსებულ საზოგადოებაში ბრძანდებოდნენ და სახირურგიო განყოფილება დაათვალიერეს.

— ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი დილით მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში და კადეტთა პირველ კორპუსში ბრძანდებოდნენ, სადაც სამის კორპუსის კადეტები თავ-მოყრილი იყვნენ.

— მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი დღეს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ბრძანდებოდნენ, რიყეზე, და კოზლენსკის ღვთის მშობლისა და წმ. ნიკოლოზ სასწაულთ მოქმედის ხატებს თაყვანი სცეს.

რიგა. ქალაქის საბჭომ დაადგინა, ახალი მუზეი აშენდეს და ამ საქმისათვის 233 ათასი მანეთი დაიხარჯოს.

16 აპრილი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას აქეთ, რაც ჩვენი წინაპრის ხელმწიფე ნიკოლოზ I-ის მეფობის დროს გამოცხადებულ იქნა 1845 წლის სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულება. ამ დებულების გამოცემას დიდხნის საკანონმდებლო შრომა დასჭირდა და ეს შრომა იქმნა ჩვენის პაპის ალექსანდრე II-ის მეფობაში. ძირითადმა ცვლილებამ განაახლეს რუსეთის სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრების წეს-რიგი. ამ ცვლილების გავლენით შეიცვალა ხალხის ცხოვრების პირობებიც და ამან გამოიწვია საჭიროება სისხლის სამართლის კანონების მასთან შეთანხმებისა; ეს საქმე, რომელიც დაიწყო ხელმწიფის ალექსანდრე II-ის უმაღლესის ხელმძღვანელობით, ჩვენის დაუვიწყარ მშობლის ხელმწიფის ალექსანდრე III-ის თვითმპყრობელის ნებით მიენდო განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა პროექტის შედგენა. ჩვენ დაუღალავად ვზრუნავდით ამ შრომის გათავებისათვის, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის. ამ მიზნით კომისიის დიდი შრომის დასრულების შემდეგ, ჩვენ ვუბრძანეთ მისგან შემუშავებული პროექტი სისხლის სამართლის დებულებისა უწყებების მიერ მაზე გამოთქმულ აზრებითურთ განიხილონ ჯერ განსაკუთრებულ რჩევაში სახელმწიფო საბჭოსთან და მერე—იმის შეერთებულ დეპარტამენტთა განსაკუთრებულ საკრებულოში და საზოგადო კრებაში. კეთილად მიგვაჩნია რა ამ გვარად შედგენილ და განხილულ სისხლის სამართლის დებულების დამტკიცება, ჩვენ გადავეცით ის უმართებულეს სენატს და ვბრძანებთ საჭირო განკარგულება მოახდინონ მის გამოცხადებისათვის და მის სისრულეში მოყვანისათვის, იმ ხნის განმავლობაში, რომელსაც ჩვენ ვუჩვენებთ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ახალი სისხლის სამართლის კანონი, სახელმწიფო და საზოგადოებრივ თანამედროვე პირობებთან შეთანხმებული, ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კარგად შესრულებას, და მტკიცედ გვწამს, რომ ეს კანონი, რომელიც განსაზღვრავს ერთმანეთისაგან აღკრძალულს და ნებადართულს და წინ აღუდგება ყოველსავე ბოროტგანზრახვას, უკეთესად დაიცავს სამოქალაქო წეს-რიგს და განამტკიცებს ხალხში კანონიერებას, რაც უნდა მუდმივი ხელმძღვანელი იყოს როგორც თვითეულ პირისა მის კერძო ცხოვრებაში, ისე წოდებათა და საზოგადოებათა საზოგადო ცხოვრებაში.“

ნამდვილზე საკუთარის მისის უდიდებულესობის ხელით აწერია: „ნიკოლოზი“. ცარსკოე სელოში, 22 მარტს 1903 წელს.

გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება სისხლის სამართლის დებულების დამტკიცებისა.

მოსკოვი. 14 აპრილს მათის უმაღლესობის ბალზე ხელმწიფე დედოფალმა მონაწილეობა მიიღო ცეკვაში.

— 15 აპრილს კრემლის სასახლის ალექსანდრეს დარბაზში უმაღლესი სადილი გაიმართა, რომელზედაც 400-მდის პირი იყო მოწვეული.

სოფია. დუბნიციდან იტყობინებიან, რომ საზღვრის მახლობლად, სტრუმის მარჯვენა ნაპირს, 14 აპრილს დიდი შეტაკება მოხდა ახლად შემდგარ რაზმსა და ოსმალთა ჯარს შორის.

— ბიტოლიიდან იტყობინებიან, რომ იქ ბევრი ტყვე ბოლგარელი მოიყვანეს. ამ ტყვეებზე ეჭვები შეიტანეს, ვითომ ისინი აჯანყებულებთან ერთად მოქმედებდნენ. იმათში მღვდლებიც არიან.

— ბოლგარელთა დელეგატები, რომელნიც დუნაის კუნძულების საქმის გარჩევისათვის ამოარჩიეს, აქედან წავიდნენ.

— ხმები ბოლგარელთა და ოსმალთა საზღვრის დარაჯების შორის შეტაკებაზე ტყუილი გამოდგა.

რომი, პანტეონში ინგლისის მეფემ გვირგვინები დაადო ვიქტორ-ემანუელის და ჰუმბერტის საფლავებს.

კონსტანტინეპოლი. დუმის ალბანელებმა და იპეკის ალბანელთა ნაწილმა განაცხადა, რომ ისინი რეფორმებს იღებენ, დანარჩენი ალბანელნი იპეკსა და დიაკოვში ჯიუტობენ რეფორმების წინააღმდეგობაში.

— პორტამ მიიღო მოხსენება მონასტირის ვილაიეტში რაზმების პატარა-პატარა შეტაკებებზე.

პორტ-საიდი. ქალაქის ევროპიულ ნაწილში მოხდა ერთი შემთხვევა შავი-ჭირით ავადმყოფობისა.

ბერლინი. როგორც გაზეთები იუწყებიან გერმანიაში უკანასკნელ ავდრების გამო, 194 კაცი ზოგი გაიყინა, ზოგმა გზა დაჰკარგა და ზოგი სხვა უბედურების მსხვერპლი გახდა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადებანი

იძლევა ქირით
მდინარე ვერის გაღმა
სახლი.

ხუთი ოთახია ყოველგვარ მოწყობილებითა და ბაღით, რომელიც ბუფეტისთვის გამოდგება. მსურველმა უნდა იკითხოს გრევგუარის საპარიკმახეროში, სოლოლაკის ქუჩაზე. (3—73—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალორა ღებულობს. (0—22)

დაიბეჭდა და ისყიდება
ყოველგან ქართულ წიგნების მაღაზიებში
ახალი ქართული წიგნი
დიდი მოურავი
გიორგი სააკაძე
გ. ხუწუაშვილისა

ჰღირს 80 კ. ვინც ოც ანუ ოც ცალზე მეტს იყიდის, იმას თითო წიგნი დაეთმობა ათ შაურად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ქართველთა ამხანაგობის სტამბაში გალუსტა შიხიაშვილს. (5—6.—2)

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისი
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).
ტელეფონი № 741

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საათფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—22)

Дозв. ценз. Тифлисъ, 16 апрѣля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)